



# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060102262870113

## ბრძანება Nი-253

ქ. თბილისი

10 / ოქტომბერი / 2013 წ.

**ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2013 წლის 12 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2013 წლის 12 სექტემბრის ადმინისტრაციულ საჩივრთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას მიღებული და გამოკვლეული გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს უარი ეთქვას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 9 ოქტომბრის N6350 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ მჭედლიშვილი

